EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი N 60909/08
თენგიზ ჩქოტუა და ელისო არქანია
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2014 წლის 20 მაისის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

პოლ მაჰონი, *თავმჯდომარე,*
ნონა წოწორია,
კრჟიშტოფ ვოიტიჩზეკი, *მოსამართლეები,*
და ფატოს არაკი, *სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,*

მხედველობაში მიიღო რა 2008 წლის 4 სექტემბერს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. პირველი მომჩივანი ბ–ნი თენგიზ ჩქოტუა იყო ეროვნებით ქართველი, დაიბადა 1964 წელს და გარდაიცვალა 2009 წელს (იხ.ქვემოთ მე-3 პარაგრაფი). მეორე მომჩივანი ქ–ნი ელისო არქანია, მისი მეუღლე ასევე ეროვნებით ქართველია, დაიბადა 1964 წელს. მას სასამართლოში წარმოადგენდა ქ–ნი რ. ქორჩილავა, ადვოკატი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს თბილისში.

2. 2006 წლის 16 ნოემბერს პირველი მომჩივანი დააკავეს ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო და 2007 წლის 28 მარტს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

4. პირველი მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის დაწყების და დაპატიმრების დროს იგი უკვე

ინფიცირებული იყო ფილტვების ტუბერკულოზით, ვირუსული C ჰეპატიტით და სხვა დაავადებებით. საქმის მასალებში არსებულ სამედიცინო დოკუმენტებში არ არის აღწერილი, თუ რა ტიპის მკურნალობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩაუტარდა ციხეში პირველ მომჩივანს ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით.

3. 2010 წლის 5 მარტს მეორე მომჩივანმა სასამართლოს შეატყობინა, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა ციხეში მკურნალობის არ არსებობის შედეგად 2009 წლის 26 დეკემბერს, რომ ამასთან დაკავშირებით დაწყებული იყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. მან განაცხადა რომ იგი საკუთარი სახელით და გარდაცვლილი მეუღლის სახელით აპირებდა საჩივრის ბოლომდე მისდევას.

პრეტენზიები

4. კონვენციის მე–2 მუხლის საფუძველზე მეორე მომჩივანმა თავისი სახელით და გარდაცვლილი მეუღლის სახელით წარმოადგინა პრეტენზია, ციხის ხელმღვანელობის მიერ მისი მეუღლის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ვერ დაცვასთან დაკავშირებით.

სამართალი

5. 2013 წლის 14 მაისს სასამართლომ შეატყობინა მთავრობას კონვენციის მე–2 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის შესახებ.

6. 2013 წლის 25 ოქტომბერს მთავრობამ შეატყობინა სასამართლოს, რომ მათ სურდათ მომჩივან მხარესთან საქმის მორიგებით დასრულება, რა მიზნითაც მათ წარმოადგინეს ოფიციალური დეკლარაცია, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

“საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა დანანებით აღიარებს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას პირველი მომჩივნისთვის პატიმრობის დროს მკურნალობის არარსებობასთან მიმართებაში და მისი გარდაცვალების საქმის არეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით.

მთავრობა წარმოდგენილი დეკლარაციის ფარგლებში მზად არის:

- ჩაატაროს ეფექტური გამოძიება [პირველი] მომჩივნის გარდაცვალების ფაქტზე;

- გადაუხადოს 10.000 (ათი ათასი) ევრო, [მეორე] მომჩივანს ნებისმიერი მორალური და მატერიალური ზიანის ასევე ყველა ხარჯისა და დანახარჯის ანაზღაურების სახით, რომელიც განთავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისგან, რომელიც შეიძლება მომჩივანს დაეკისროს. აღნიშნული თანხა კონვერტირებულ უნდა იქნას მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ, განჩინების მთავრობისთვის შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ გადახდა არ განხორციელდა ზემოხსენებულ 3 თვის ვადაში, მთავრობა ვალდებულებას იღებს გადაიხადოს ვადის ამოწურვის დღიდან გადახდის შესრულებამდე, გადასახდელ თანხაზე დარიცხული გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

ზემოხსენებული პირობების შესრულება წარმოადგენს საქმის საბოლოო გადაწყვეტას.“

7. 2014 წლის 26 მარტის წერილით მომჩივანმა განაცხადა, რომ ის მზად იყო დათანხმებოდა 2013 წლის 25 ოქტომბრის მთავრობის მიერ მორიგების შესახებ შემოთავაზებულ დეკლარაციას და მიესალმება მთავრობის გადაწყვეტილებას, მისი მეუღლის პატიმრობაში გარდაცვალების ფაქტზე ეფექტური გამოძიების ჩატარებას.

8. სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეთა შორის მიღწეულ მორიგებას. აქედან გამომდინარე ის იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის ფუნდამენტური ხასიათი ითვალისწინებს, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს, რაიმე სახის ეფექტური ოფიციალური გამოძიება, იმ პატიმრის გარდაცვალების მიზეზის დასადგენად, რომელიც მძიმედ იყო დაავადებული სხვადასხვა სერიოზული დაავადებებით, ასევე იმისათვის, რომ შეფასდეს სავარაუდო სამედიცინო მკურნალობის არარსებობა. (იხ. მაგალითად, *Makharadze and Sikharulidze v. Georgia*, no. 35254/07, §§ 87-89, 22 November 2011).

9. სასამართლო კმაყოფილებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მორიგება დაფუძნებულია ადამიანის უფლებების პატივისცემაზე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში და ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რომელიც გაამართლებდა საქმის განხილვის გაგრძელებას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

ამის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად

მიიღო გადაწყვეტილება, კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

ფატოს არაკი სექციის განმწესრიგებელი მოადგილე	პოლ მაჰონი თავმჯდომარე